წერილის ნომერი: **30-302609149**
თარიღი: **01/04/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძე

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრებაა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის N008045925 თარიღი 2.12.2025 თანახმად 1 კვ.მ. შეფასებულია 98 ლარად) 5 წლის ვადით გამოაცხადოს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული ელექტრონული აუქციონი.

აღნიშნულისთვის საჭიროა, - ,,ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვროს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 5 500 (ხუთიათას ხუთასი) ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

მოქალაქე.ნაზიბროლა ხიხაძის

მცხოვრები.ლანჩხუთი სოფელი ქვიანი

ტელეფონი: 558 72 30 30

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალაქ ლანჩხუთში სარგებლობის უფლებით გამაჩნია 16 კვ.მ მიწის ნაკვეთი რომელზეც საიჯარო ვადა გადის მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში გთხოვთ, აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადმომცეთ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით.

მე ნაზიბროლა ხიხაძე პირადი N 62004017205 დაბადების თარიღი 03.12.1979

(სახელი-გვარი) რიცხვი /თარიღი

თანხმობას ვაცხადებ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოცემული განაცხადის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით დაამუშავოს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს"მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული ჩემი პერსონალური მონაცემები

6.10.2025 ..... ნ. ხიხაძე .....

თარიღი ხელმოწერა

Georgia IDENTITY CARD
პირადობის მოწმობა
საქართველო

GEO

სახელი / FIRST NAME
ნაზიბროლა
NAZIBROLA

გვარი / LAST NAME
ხიხაძე
KHIKHADZE

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მდ / F
პირადი № / PERSONAL №: 62004017205

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 03.12.1979
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 02.10.2027

ბარათის № / CARD №: 17IA83883

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ჭიათურა
TCHIATURA

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
02.10.2017

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

[illegible] MB-IDS 2017
[illegible] No 26-3184

IDGE017IA83883662004017205<<<<
7912034F2710028GEO<<<<<<<<<<<5
KHIKHADZE<<NAZIBROLA<<<<<<<<<<

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ნაზიბროლა ხიხაძის

განცხადება

ჩემსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის 06/11/2020 N 5 იჯარის ხელშეკრულებით (მიწის ნაკვეთი) ნაკისრი ვალდებულებების თანხა შეცდომით შემომქონდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების (იჯარის) საიდენთიფიკაციო კოდზე 300643212 გთხოვთ ჩამითვალოთ აღნიშნული თანხა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის (იჯარის) საიდენთიფიკაციო კოდზე 300643047.

ნ. ხიხაძე

T 558-72-30-30

21.02.2024 წ.

GEO
NAZIBROLA
KHIKHADZE
GEO
62004017205
171A83883

TCHIATURA
02.10.2017
MINISTRY OF JUSTICE
ID<GE017IA83883662004017205<<<<
7912034F2710028GE0<<<<<<<<<<<5
KHIKHADZE<<NAZIBROLA<<<<<<<<<<

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის N008045925 თარიღი 2.12.2025 თანახმად, 1 კვ.მ. შეფასებულია 98 ლარად) ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 5 500 (ხუთიათას ხუთასი) ლარით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

იჯარის ხელშეკრულება N5

ქ.ლანჩხუთი 6-ნოემბერი- 2020 წელი.

ერთის მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია (ს/კ 233730139 შემდგომში „მეიჯარე") წარმოდგენილი აუქციონატორის, **გიორგი ნაჭყებიას (პ/ნ 26001024667)** სახით და მეორეს მხრივ, **ნაზიბროლა ხიხაძე (პ/ნ 62004017205)** შემდგომში „მოიჯარე"), 2020 წლის 23 ოქტომბრის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა/აღნაგობა,უზუფრუქტი და სხვა) გადაცემისას ელექტრონული (პირობით/უპირობოდ) აუქციონის გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N 1 -სა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების , სარგებლობისა და მართვის უფლებების გადაცემის საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის, ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ" N 669 დადგენილების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი:

1.1 „მეიჯარე" გადასცემს, ხოლო „მოიჯარე" იჯარის ფორმით იღებს ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 16.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 27.06.51.006) .

1.2 ხელშეკრულებას თან ერთვის იჯარის ფორმით ქონების გადაცემით მიღება-ჩაბარების აქტი და 2020 წლის 23 ოქტომბრის „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა/აღნაგობა/უზუფრუქტი და სხვა) გადაცემისას ელექტრობული (პირობით/უპირობოთ) აუქციონის გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N1 რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2. ხელშეკრულების პირობები:

საქართველ
საჯარო რეე
თარიღი "__
გვ.რაოდენობა.

2.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებით სარგებლობის წლიური ქირა შეადგენს 1177,30 (ერთი ათას ას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი)ლარს .

2.2. ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან -5 (ხუთი) წლის ვადით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

3.1. „მოიჯარე“ ვალდებულია, ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.2. „მოიჯარე“ ვალდებულია ქონების სარგებლობის ქირის საფასური გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ 6 (ექვს)თვეში .

3.3. „მოიჯარე“ - ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მეიჯარეს.

3.4. „მოიჯარე“-ს არა აქვს იჯარით აღებული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან სხვაგვარად დატვირთოს იგი მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე.

3.5. „მოიჯარე“ ვალდებულია ქონების მოვლა პატრონობასა და მის დაცვაზე.

3.6.„მოიჯარე“ პასუხს არ აგებს ქონების ნორმალური ცვეთისათვის, იგი ვალდებულია გადაიხადოს კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები.

3.7. „ მოიჯარეს“ შეუძლია „ მეიჯარესთან „ შეთნხმებით საკუთარი სახსრებით აწარმოს ობიექტის მიმდინარე და კაპიტალური რემონტი.

3.8. „მოიჯარე“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „მეიჯარეს“თუ ქონება დაზიანდა განადგურდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

3.9.„მოიჯარე“ ვალდებულია ქონების სარგებლობისას დაიცვას ეკოლოგიური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

3.10. „მოიჯარე“ ვალდებულია ხელშეკრულება დაუყონებლივ დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კანონით განსაზღვრულ წესით.

3.11.თუ „მოიჯარე“საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ "მეიჯარეს" შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის."მეიჯარეს" შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

3.12. თუ „მოიჯარე“ „საიჯარო“ ურთიერთობის შეწყვეტამდე ქონებას უკან აბრუნებს იგი „საიჯარო ქირის“ გადახდისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ თავის სანაცვლოდ შესთავაზებს ახალ გადახდის უნარიან და „მეიჯარისთვის“მისაღებ „მოიჯარეს“ .

ახალი „ მოიჯარე "თანახმა უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება მიიღოს იმავე პირობებით, თუ „მოიჯარე“ ვერ შესთავაზებს ასეთ „ მოიჯარეს“ მან " საიჯარო ქირა" უნდა იხადოს „საიჯარო“ურთიერთობათა დასრულებამდე.

3.13. „ მეიჯარე“ ვალდებულია მოიჯარეს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

3.14."მეიჯარე“ ვალდებულია ქონება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე „მოიჯარეს“ გადასცეს მიღება -ჩაბარების აქტით.

3.15." მეიჯარე " ვალდებულია „იჯარის „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოიჯარეს მისცეს წერილობითი გაფრთხილება რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო

№826

განისაზღვრება ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი ქირის 0.1% მაგრამ არანაკლებ 5(ხუთი) ლარისა,დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა (გაუქმება)**

4.1. „იჯარის" ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს :

ა) "მეიჯარის" / "მოიჯარის" ლიკვიდაციასთან/გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

გ)"მოიჯარის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისას.

დ) ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

4.2. იჯარის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება თუ ქონება განადგურდა მოიჯარისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და აღარ გამოდგება გამოსაყენებლად.

5. დაუძლეველი ძალა.

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისიგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ისინი გამოწვეულია მხარეებისაგან დამოუკიდებელი, გადაულახავი ძალის შედეგად.

6. დავები.

6.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავის და უთანხმოების გადაწყვეტა მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად.

მეიჯარე/აუქციონატორი გ. ნა [signature] **გიორგი ნაჭყებია (პ/ნ 26001024667)**

...ნისტრო
...სააგენტო
_____ 201 წ.

„მოიჯარე" ნ. ხიხაძე **ნაზიბროლა ხიხაძე (პ/ნ 62004017205)**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №826
თარიღი 13 ნოემბერი 2020წ.
გვ.რაოდენობა 3(სამი) ხელმოწერა [signature]

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892023149419 - 19/10/2023 15:07:34

მომზადების თარიღი
25/10/2023 15:02:54

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ლანჩხუთი	ლანჩხუთი		
27	**06**	**51**	**394**

მისამართი: ქალაქი ლანჩხუთი , ქუჩა ჟორდანია

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 463.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **27.06.51.006;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882008319878 , თარიღი 30/10/2008 18:18:36

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N298 , დამოწმების თარიღი:02/06/2010 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- მომართვა N603 , დამოწმების თარიღი:30/10/2008 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესაკუთრეები:
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:233730139

მესაკუთრე:
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882020866685 თარიღი 13/11/2020 13:02:14	**მოიჯარე: ნაზიბროლა ხიხაძე** P/N: 62004017205; საგანი:16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; ვადა:5 წელი; **იჯარის ხელშეკრულება N5, დამოწმების თარიღი13/11/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/11/2020	**შეთანხმების აქტი N1(განაცხადის რეგ.N892023149419 19.10.2023), დამოწმების თარიღი19/10/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882023754325 თარიღი 20/07/2023 16:14:43	**მოიჯარე: შპს "საქართველოს ფოსტა"** 203836233; საგანი:6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; ვადა:3 წელი; **იჯარის ხელშეკრულება N4, დამოწმების თარიღი20/07/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 28/07/2023	**იჯარის ხელშეკრულება N4, დამოწმების თარიღი26/07/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022310147 თარიღი 05/05/2022 14:03:13	საგანი:მიწის ნაკვეთებზე ფართობით 6 კვ.მ. და 15 კვ.მ. ვრცელდება სერვიტუტის უფლება;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/05/2022	

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge